

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირის მხარეს, საგამოფენო და შემეცნებითი სივრცის მშენებლობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით კომისიის სხდომის ოქმი # 01

ქ. თბილისი

„ 11 “ „03 “ 2015 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

თ. იაშვილი გ. ასკურავა ე. ხარაიშვილი დ. ლიტვინი ი. ლომიძე რ. ბანძელაძე

საკონკურსო აპარატის კომისიის წევრები:

ნ. დემეტრაძე

გ. შაშვიანი

დღის წესრიგი:

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირის მხარეს, საგამოფენო და შემეცნებითი სივრცის მშენებლობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ი. ლომიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო დოკუმენტაცია და პირობები.

აზრი გამოთქვას:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის“ შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

სხდომის მდივანი - გ. შაშვიანი